

**ოქროს ანაბარი - თქვენი დანაზოგი ოქროს გარანტიით**

თბილისი, 18 დეკემბერი, 2008 - დღეიდან თბილისი ბანკი მომხმარებელს ახალ, უნიკალურ ვადას ანაბარს – „ოქროს ანაბარს“ სთავაზობს. ოქროს ანაბარის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ თბილისი ბანკი ანაბარის დამატებით საიმედოობას შექმნილი ოქროთი უზრუნველყოფს.

საუკუნეების განმავლობაში ოქრო წარმოადგენდა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მყარ ვალუტას, რომლის ფასი მუდმივად იზრდებოდა. ამას ადასტურებს ბოლო წლებში მისი გაორმაგებული ღირებულება, რომელმაც 2008 წლის ბოლოს თავის პიკს, 1 უნციაზე 1,000 დოლარს მიაღწია. ექსპერტების ვარაუდით, მიუხედავად მსოფლიო ფინანსური კრიზისისა, და სწორედ ამ კრიზისიდან გამომდინარე, ოქროს ფასი გაიზრდება უახლოესი თვეების განმავლობაში.

„ოქროს ანაბარი“ არის ვადანი ტიპის ანაბარი, რომელიც დაზღვეულია ოქროთი. მაქსიმალური სარგებლის მისაღებად და ანაბარის დამატებითი საიმედოობისათვის, თბილისი ბანკი ანაბარს „ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟაზე“ შექმნილი ოქროთი გაამყარებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ოქროს ანაბარის“ მფლობელი საიმედოობის დამატებით გარანტიებთან ერთად, ოქროს ფასის ზრდის შემთხვევაში გაზრდილი საპროცენტო სარგებლის მიღებას შეძლებს.

ოქროს ანაბარზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია ოქროს ფასის ცვლილებაზე და შეადგენს: ფასის ზრდის შემთხვევაში **16%-მდე**, ხოლო მისი კლების შემთხვევაში - გარანტირებულ წლიურ **9%-ს**.

მაგალითად, თუ ერთი წლის განმავლობაში ოქროს ფასი :

- შემცირდა ან გაიზარდა 0%-დან 9%-მდე - ანაბარს დაერიცხება **გარანტირებული 9%**.
- გაიზარდა 9%-დან 16%-მდე (მაგალითად 15%-ით) - ანაბარს დაერიცხება **ოქროს ფასის ზრდის ეკვივალენტური** საპროცენტო განაკვეთი (მოყვანილ მაგალითში წლიური 15%).
- გაიზარდა 16%-ზე მეტით – ანაბარს დაერიცხება მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი, **წლიური 16%**.

„ოქროს ანაბარის“ ვადა 1 წელია და მისი გახსნა შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს - 500 აშშ დოლარის დანაზოგით. საპროცენტო სარგებლის დარიცხვა ხდება ანაბარის ვადის გასვლისას.

**რა უპირატესობა აქვს „ოქროს ანაბარს“ ჩვეულებრივ ვადას ანაბართან შედარებით?**

„ოქროს ანაბარი“ დამატებითი საიმედოობისათვის უზრუნველყოფილია ოქროთი. ამიტომ, თუმცა ამ ანაბარის გარანტირებული წლიური სარგებელი 9%-ია, რაც 2%-ით ნაკლებია ჩვეულებრივ 1 წლიან ვადას ანაბართან შედარებით, ოქროს ფასის ზრდასთან ერთად მომხმარებელს საშუალება ექნება მიიღოს უპრეცედენტოდ მაღალი 16%-მდე განაკვეთი აშშ დოლარში.

- ფიზიკური პირების მომსახურება;
- კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერთიფიკატი მიენიჭა;
- ლიდერი ტექნოლოგიების ბაზარზე
- ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- კო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ახალი ტიპის ულტრა-თანამედროვე საბანკო ფილიალების „მომსახურება ბარიერების გარეშე“ ინოვაციური საქართველოში;
- ლიდერული პოზიციები უკავია სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- FitchRatings: B+, stable
- Moody's: B 3 and Ba1